სახალხო ფურცელი

№ 818 სამშაბათი, 14 მარტი 1917 წ. № 818

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. 190.**

ამხანაგებო, მოქალაქენო! მოითხოვეთ საქართველოს ავტონომია!

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

მიესალმება განთავისუფლებულ რუსეთის ხალხს და უსურვებს სრულს გამარჯვებას რევოლიუციას.

პარტია დარწმუნებულია, რომ დროებითი მთავრობა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ფართო მშრომელს ხალხს—მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების თანაგრძნობას და თანხმობას, დაუყონებლივ განახორციელებს სრულს პოლიტიკურს ამნისტიას—ამ ამნისტიის დროს განთავისუფლებულ უნდა იქნენ ის მაჭახლიანი ქართველებიც, რომელნიც უსამართლოდ დაისაჯნენ ძველის წეს-წყობილების პროვოკაციის წყალობით აჭარელთა პროცესში, დაამყარებს სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის, გაფიცვის და სინიდისის თავისუფლებას და მიანიჭებს ქალებს უფლებრივ თანასწორობას მამაკაცებთან, დააწესებს ყველგან დემოკრატიულს თვითმართველობას, მოსპობს წოდებრივობას და ეროვნულს შევიწროვებას და შეუდგება დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო თანასწორი, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სახის შესამუშავებლად.

პარტია დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს განახლებისა და გარდაქმნის დროს დაკმაყოფილებული იქნება რუსეთის ყველა ერის პოლიტიკურ-ეროვნული მოთხოვნილება, განხორციელდება საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია და მით ქართველ ერს მიეცემა საშუალება სრული კულტურული და ეკონომიური განვითარებისთვის.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მხარს უჭერს დროებითს მთავრობას ამ დემოკრატიული პროგრამის განხორციელებაში და დაეხმარება ყოველის ღონით ახალის თავისუფალი წეს-წყობილების განსამტკიცებლად.

ტფილისი, 14 მარტი, 1917 წ.

რესპუბლიკა მონარქიის ნანგრევებზე. რუსეთში ამ ჟამად დიდი იდეური ბრძოლაა, ბრძოლა აზრებისა—უნდა აღდგენილ იქნეს მონარქია, მემკვიდრეობითი ხელმწიფობა, თუ მონარქიის ნანგრევებზე უნდა აღმოცენდეს ახალი, უფრო დროის შესაფერისი სახელმწიფო-რესპუბლიკა. როგორც ეტყობა რესპუბლიკის მომხრეთა რიცხვი თანდათან მატულობს, და მოსალოდნელია, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე სრულიად გაიმარჯვებენ რესპუბლიკელები. რომანოვების გვარეულობამ ისე შეარცხვინა თავი, ისე დამამცირებელი იყო მისი მეფობა რუსის ხალხისთვის, ისე უნიჭო და უბადრუკი გამოდგა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ნიკოლოზ მეორე, რომელმაც წაუშლელი ზიზღით აღავსო ყველას გული, რომ ამ გვარეულობის დაბრუნება და ხელახალი გამეფება წარმოუდგენელია. რომანოვები უფსკრულში დაიკარგნენ და ძველის აღდგენა არავის ძალუძს, არავინ მოინდომებს კვლავ ხედავდეს თავის დამცირების და შერცხვენის სახეს.

რუსეთის პროლეტარიატის აზრი, რომელიც დღევანდელი რევოლუციის უდიდესი ძალაა, ყველამ კარგად უწყის—იგი დიდი ხანია გადაჭრით მოითხოვს დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესებას. ჯარში სისწრაფით არსდება რესპუბლიკელთა კავშირები, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთის ხსნა და გონებრივ-ქონებრივი აღორძინება მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია. მშრომელი გლეხობა, რასაკვირველია, მხარში ამოუდგება თავის უფროსს ძმებს ქალაქის მუშებს. ზოგნი ფიქრობენ, რომ სოფელი საერთოდ მონარქისტული მიდრეკილებისაა. ეს განყენებული და ყოვლად უსაფუძვლო შეხედულებაა. წინანდელი სოფელი და დღევანდელი ერთი არაა. დღევანდელი სოფლის თავისუფლებრივი შეგნება სხვანაირია. სოფელი არასოდეს მოინდომებს კვლავ ჩაუვარდეს ხელში იმათ, რომელთაგან სიკეთე ერთი არ ახსოვს და სიავე და შევიწროვება კი ათიათასი. განსაკუთრებით თუ დღევანდელი დროებითი მთავრობა სავსებით შეიგნებს მომენტის მნიშვნელობას და სრულ დემოკრატიული პოლიტიკურ ცვლილებასთან ერთად დაუყონებლივ განახორციელებს ზოგს აუცილებელ სოციალურ-ეკონომიურ რეფორმასაც, მაგალითად უზრუნველჰყოფს გლეხობას მიწის სარგებლობის მხრით, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გლეხობა საერთოდ ერთგული მომხრე იქნება ახალის წესწყობილებისა.

რაც შეხება ბურჟუაზიას, მის ეკონომიურს კეთილდღეობას ოდნავად არ ზღუდავს რესპუბლიკური მართველობა. პირიქით, იმის მაგალითები გვაქვს, რომ ბურჟუაზიის აყვავებას ხელს უწყობს რესპუბლიკა. საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის და ამერიკის ისტორია. ფეოდალურ-მონარქისტული რეჟიმის დამხობა აუცილებლად ფრთებს შეასხამს რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა კლასს. მონარქია თავად-აზნაურობის ბურჯი იყო ყოველთვის, მონარქიის მოსპობა იქნება თავად-აზნაურობის პირველობის და ბატონობის მოსპობაც, ბურჟუაზია თავისუფლად ამოისუნთქავს და მის საეკონომიო მოღვაწეობას ვერავინ შეზღუდავს.

რუსეთის დღევანდელ რევოლუციის გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა-რუსთა განწყობილებას. რუსეთის მცხოვრებთა შორის თითქმის 40 პროცენტი არა რუსია და ეს ერები, რასაკვირველია, გამოექომაგებიან ყველაზე უფრო იმ პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც მეტის სავსებით უზრუნველჰყოფს მათ ეროვნულს თვითარსებობას და თავისუფლებას.

ამგვარი იქნება უეჭველია დემოკრატიული რესპუბლიკა. რომელიც არსებითად შეიცავს მეტს თავისუფლებას როგორც კერძო პირებისა, ისე მთელ ერებისათვის ხოლო აუცილებლად საჭიროა, რომ ეს რესპუბლიკა იყოს არა ცენტრალისტური, არამედ ფედერალისტური. რუსეთი დიდი სახელმწიფოა, ბევრი სხვა და სხვაობაა ბუნების, კულტურის, ეროვნების და ერთ ფეროვანი, ერთსახიანი ცენტრალიზმი არ შეეგუება მას. რუსეთის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საშუალება უნდა მისცეს ყველა ერს სრული ეროვნული განვითარებისა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაწესდება ფედერალური დემოკრატიული რესპუბლიკა და ყოველი ერი იქნება თავისუფალი შინაურ საქმეებში და ყველანი იქნებიან ძმურად თანასწორის უფლებითა და მოვალეობით შეერთებულნი და შედუღებულნი. ეს მიანიჭებს რუსეთის სახელმწიფოს უდიდეს სიმტკიცეს და სიძლიერეს.

დემოკრატიული ფედერალისტური რესპუბლიკა—აი საითკენ უნდა იყოს მიპყრობილი რუსის ხალხის და რუსეთის ერების ყურადღება, აი რა უნდა დააწესოს დამფუძნებელმა კრებამ.

ჩვენი პროტესტი

მოხდა მეტად აღსაშფოთებელი ფაქტი, რომელიც უზომოდ აღელვებს არა მარტო ჩვენს პარტიულს თანამოაზრეს და ამხანაგს, არამედ ყველას, ვისაც გული სტკივა საქართველოს პოლიტიკურ-ეროვნულ ღირსება-უფლებისათვის.

ჯერ კიდევ გუშინ-წინ აქაური სოც.-დემოკრატების ორგანომ გამოაცხადა, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პეტროგრადიდან გამოგზავნილ დელეგაციის შედგენილობისა, ხოლო გუშინ ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ კიტა აბაშიძე გადააყენეს და მის მაგიერ დროებითი მთავრობის კომისარად დაინიშნა დეპუტატი ა. ჩხენკელი.

ჩვენმა დასილებმა, რომელნიც ამდენი წელიწადია ყოველის ღონით იბრძოდენ საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას და ფეხით სთელავდნენ ქართველი ერის უწმინდეს უფლებას,—თავის მიზანს მიაღწიეს და დღევანდელს ისტორიულს მომენტში ჩვენი ქვეყნის მოწყობის საქმეს ჩამოაშორეს იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ერთად ერთი იყო დღემდი ქართველი ერის ეროვნული ინტერესების დამცველი, რომელმაც მტკიცედ შეინახა ყველასაგან დევნილი და შელახული საქართველოს სახე და რომელმაც შეიტანა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნება!

კიტა აბაშიძის გადაყენებას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ზურგი შეაქციეს საქართველოს უდიდეს საჭიროებას—მის ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას, რაც ნიშნავს ქართველ ერის თვითარსებობის საკითხის დასამარებას.

ღრმად აღშფოთებულნი ვაცხადებთ პროტესტს. მოვუწოდებთ ამხანაგებს ყველგან, სოფლად და ქალაქად, ყოველი ორგანიზაციის პირით შემოუერთონ ჩვენს ხმას თავისი პროტესტი და გამოიტანონ სათანადო რეზოლუციები.

დაწვრილებითს პარტიულს გარდაწყვეტილებას მალე ვაუწყებთ კიდევ ამხანაგებს.

საპროტესტო დეპეშები

კიტა აბაშიძის გადაყენების გამო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლვოვს, იუსტიციის მინისტრს კერენსკის და ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიათა ბიუროს შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და მასთან ერთად ქართველი ერის ფართო წრეები ღრმად აღელვებულნი არიან კომისარ კიტა აბაშიძის გადაყენებით, რომელიც ვერაფრით აგვიხსნია. მისმა დანიშვნამ ყველანი გაგვახარა, როგორც იმის დამამტკიცებელმა ფაქტმა, რომ რუსეთის რევოლუციონურს მთავრობას აზრად აქვს უკუაგდოს ის უყურადღებობა ქართველი ერის ეროვნულ საჭიროებისადმი, რომელსაც მთელი საუკუნის განმავლობაში იჩენდა ძველი რეჟიმი. გაუგებარი შეცვლა კომისარისა აღელვებასა და პროტესტებს იწვევს, რომელიც სარევოლუციო საერთო საქმისათვის მავნებელია. კომისართა შორის არაა ისეთი ქართველი, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს რომ იცავდეს, რადგან ჩხენკელი, როგორც სოციალ-დემოკრატი არაა გამომხატველი ქართველი ერის ნაციონალურ მისწრაფებისა. პროტესტს ვაცხადებთ იმ შეურაცხმყოფელ უნდობლობისა გამო, რომელიც გამოჩენილ იქმნა არა მარტო პარტიის არამედ ერისადმი. ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვსრა ჩხენკელის დანიშვნისა, მაგრამ დაბეჯითებით მოვითხოვთ კიტა აბაშიძის კომისარად დატოვებას, რადგან იგი საუკეთესო გამომხატველია ქართველი ეროვნულ მისწრაფებისა და მედგარი დამცველია მშრომელთა ინტერესებისა.

ფედერალური კომიტეტი.

—

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრს კერენსკის. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მუშების ორგანო „ზვირთი“ ღრმად აშფოთებულია კომისარ კიტა აბაშიძის გაუგებარ გადაყენებით; რომელიც მედგარი და პატიოსანი დამცველია ქართველი ხალხის მშრომელ მასსათა ინტერესებისა და მის ნაციონალურ მისწრაფებისა. ჩვენის მხრით დიდ პროტესტს ვაცხადებთ და იმედი გვაქვს მთავრობა კიტა აბაშიძეს კომისარად დასტოვებს.

პეტროგრადი, იუსტიციის მინისტრს კერენსკის. „სახალხო ფურცლის“ რედაქცია უკიდურესობამდე აღელვებულია კომისარის კიტა აბაშიძის მოულოდნელი და დაუსაბუთებელი გადაყენებით.

გაზეთი ამაში ხედავს ქართველთა ეროვნული ინტერესებისადმი ძველებურს შეურაცხმყოფელს უყურადღებობას; პროტესტს ვაცხადებთ და მასთან იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ასეთ შეცდომის გასწორებას და დასტოვებს აბაშიძეს კომისარიატში.

პეტროგრადელ ქართველების დადგენილება

პეტროგრადში მყოფ ქართველთა საზოგადო კრებამ ერთხმად აღიარა, რომ მომავალი დამფუძნებელი კრების მოწვევა აუცილებლად გვავალებს მთელი ქართველობა შემოვკრბეთ ქართველი ერის დარღვეულ პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის გარშემო და რომ ხელშეუვალ ლოზუნგად საქართველოს ყველა [illegible] უფუსა, კლასისა, წოდებათა და პარტიათა თავის უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენა სახელმწიფოებრივი ავტონომიის სახით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც განუწყვეტელი კავშირი უნდა ჰქონდეს რუსეთთან. ეს კავშირი უნდა განსაზღვროს განსაკუთრებულმა კანონმა.

პოლიტიკური ინფორმაციისა და სხვა ეროვნებათა ორგანიზაციებთან დამოკიდებულებისათვის არჩეულია კომიტეტი: ჯავახიშვილი, ნინო ბელოვანისა, ყიფშიძე, სიდამონ-ერისთავი, ავალიშვილი, ჩერქეზიშვილი, წულუკიძე.

კრების თავმჯდომარე ზურაბ ავალიშვილი.

აღმასრულებელი კომიტეტის დიქტატორული მისწრაფებანი

ტფილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ ცდილობს: თავის გავლენას მთელი გუბერნიაც დაუმორჩილოს. კომიტეტი დიდ ორიგინალობის გამოჩენას ფიქრობს. ისეთ საქმეებს ეპოტინება რომლისათვის არ დაარსებულა და რომლის სვებედი არავის ჩაუბარებია. რადა იქცევა ასრე კომიტეტი, რა ზნეობრივი უფლებით, რისთვის ჰქელავს თვით სოფლის ორგანიზაციების ხმას და რად ახვევს სოფელს თავის ინტერესებს?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის დამფუძნებელ კრებაზე წევრები შეთანხმდნენ, რომ ყოველი დადგენილება მხოლოდ მაშინ იქნება განხორციელებული თუ მთელი კრებული ერთხმად დაადგება გადაწყვეტილებას, ყოველ შემთხვევაში კომიტეტის მუშაობა ზნეობრივ პასუხისმგებლობასა და სიმართლეზე უნდა იყოს აგებული. ამბობენ, უფლება რყვნის ადამიანის ფსიქიკასო. ჩვენ არ ვიცით რამდენად შეეფერება ეს კომიტეტის წევრებს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ კომიტეტის პირვანდელი გადაწყვეტილების ნასახიც არ დარჩენილა და ზნეობრივ-ერთობლივ მუშაობის წიაღში თავს იჩენს გრძნობა განუკითხავი დიქტატურისა.

ტფილისის კომიტეტს მოუსურვებია მთელ გუბერნიის მოვლენის პატრონად, ესე იგი მცირე ჯგუფი ქალაქის მცხოვრებთა უნდა გაბატონდეს მრავალრიცხოვან გუბერნიის ხალხზე და თავზე მოახვიოს თვისი ინტერესები და შეხედულებანი. საოცარი და გაუგებარია განზრახვა კომიტეტისა. ჯერ იყო და კომიტეტი შეადგინეს უმთავრესად პლუტოკრატულ ბურჟუაზიისა და მუშათა ნაწილის საბჭოს დელეგატებისაგან, მარტო ტფილისის ქალაქის თვითმართველობას ათი რწმუნებული ჰყავს კომიტეტში, წარმოდგენილია კომიტეტში ვაჭართა საზოგადოებაც. ხოლო სოფლის არც ერთ ძალს, არც მაშვრალ გლეხ-კაცობას, არც სხვა წოდებას ერთი ხმაც არ აქვს კომიტეტში. და აი ორგანიზაცია, რომელშიაც უდიდესი ადგილი დათმობილი აქვს ფინანსიურ ბურჟუაზიას, ქალაქის სახლის პატრონებს და ჩარჩებს ესე იგი არხი—რეაქციონერ ძალებს უნდა ზნეობრივ პრინციპს ამოეფაროს და ისე განაგოს მთელი გუბერნიის სოფლები.

აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილება უსაფუძვლო, უვიცი, უსამართლო და როგორც ასეთი უვარგისი, თუ გსურთ სოფლის მართველობაში ჩაერიოთ და ხალხს, დაეხმაროთ მოიშოროთ ბატონობის თუ დიქტატურის გრძნობა და ხალხის საქმეში ხალხს მიეცით ხმა. ვიდრე ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტში პროპორციონალური მონაწილეობა არ მიუღია სოფლის მცხოვრებთ მანამდისინ აღმასრულებელ კომიტეტს ზნეობრივი და ფორმალური უფლება არ აქვს განუკითხავ მოქმედებისათვის. უამისოთ ავანტიურა და ანარქია გამეფდება და თუ ასეთი მოვალეობის სახელით შევიტანეთ ხალხში, საზოგადოებრიობას გავრყვნით და ძალადობას გავამეფებთ. აღმასრულებელი კომიტეტი ამ გზას არ უნდა დაადგეს. გააკეთოს რაც პირდაპირ ევალება.

სოფლის მართვა-გამგეობა კი კომიტეტის საქმე არ არის. ათიოდე მუშის და ჯარის-კაცის, ხოლო ჩარჩების გუნდი ვერ იქნება მრავალრიცხოვან გლეხობის ინტერესების გამომხატველი. დაუყონებლივ საჭიროა შეიქმნეს გლეხთა საბჭოები—სამაზრო და საგუბერნიო. აი, ასეთნაირად შედგენილი საგუბერნიო საბჭო შესძლებს სიმართლისა და ზნეობის მიხედვით ლაპარაკს—მოქმედებას და არა ქალაქის ის კომიტეტი, რომელშიაც პლუტოკრატია ხარბად არის წარმოდგენილი. სოფლის ხმა, სოფლის ინტერესი რომ არ დაიკარგოს, საგლეხო საბჭოების შექმნა საჩქაროდ უნდა მოხდეს, დაყოვნება შეუძლებელია, რომ ამ გზით საქალაქო კომიტეტის დიქტატორული ინსტიქტები დროზე აილაგმოს...

ქართველ დემოკრატიას

ამხანაგებო!

დიდ რუსეთთან შედარებით ჩვენ რიცხვითა და სიმშობლის სივრცი ერთის წვეთის წარმომადგენელნი ზღვაშ

მიუხედავად ამისა ჩვენ ძლიერნ ვართ სულით.

ჩვენი სულის სიძლიერე იმდენა დიდია, რომ ჩვენისთანა პატარა ერ

დიდი რუსეთის დროებით მთავრობაში თვისი წარმომადგენელი ჰყავს—კარლო ჩხეიძე.

ქართველებს სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამ გარემოებით.

ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს, რომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი წევრი ქართველი დემოკრატიის წარმომადგენელი იყო.

ვინ შექმნა ჩვენი სულის სიძლიერე, ვინ გვარგუნა ეს უფლება, ვამაყობდეთ დღეს ჩვენის თავით?

თქვენ, ამხანაგებო!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აამაღლა ჩვენი სამშობლო იმდენად, რომ რიცხვით მცირე ქართველი ერი რუსეთის დროებით მთავრობას ერთ საუკეთესო წევრს აძლევს.

თქვენ რომ მარტო ამით დაკმაყოფილდეთ, თქვენს მოწოდებას, თქვენს დანიშნულებას, თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე უღალატებთ: თქვენ ვალდებული ხართ, თქვენ ისტორია გიკარნახებთ, თქვენი დიადი საქმე ბოლომდი მიიყვანოთ და თქვენს მშობელ ერს მოუპოვოთ ისეთი წყობილება, ურომლისოთაც მას არ შეუძლია განახლებულ რუსეთში განვითარება.

ეს არის **ტერიტორიალური ავტონომია** განახლებული რუსეთის მფარველობის ქვეშ.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება ქართველი დემოკრატიის საბოლოო მიზანს, პირიქით ის ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო მიზანს.

მაშ რატომ არ უნდა გაისმას თქვენი პირიდან მედგარი ჰექა:

გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასო!

უნდა გაისმას და მე მრწამს, რომ გაისმის.

ამას ითხოვს თქვენგან თქვენი დაჩაგრული სამშობლო, ამას გავალებთ თქვენ ჩვენი ისტორია.

თქვენ ამით არასფერს ახალს არ მოსთხოვთ განახლებულ რუსეთს,—თქვენ მოითხოვთ მხოლოდ იმის დაბრუნებას, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

განახლებულმა რუსეთმა მოსპო ძველი რეჟიმი, დაიბრუნა და აღადგინა თვისი უფლებანი.

ის ვალდებულია, მან უნდა დაგვიბრუნოს ის უფლებანი — ქართველი ერის უფლებანი, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა და ფეხქვეშ გათელა.

ამხანაგებო, თქვენ გახარებთ თავისუფალი რუსეთი.

ნუ თუ თქვენს გულს თავისუფალი საქართველო ნაკლებად გახარებს?

მაშ იცოდეთ, რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, საქართველო ვერ განახლდება, თუ მან არ დაიბრუნა, არ აღადგინა, რაც მას წაართვეს:

ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამხანაგებო! თქვენ სისხლსა ღვრიდით რუსეთის განახლებისათვის.

და დღეს, როდესაც რუსეთი განახლდა, ნუ თუ ხმას არ აამაღლებთ თქვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენისათვის?

ივ. გომართელი

(„თეატრი და ცხოვრება“).

რევოლუციის დეპეშები

სახალხო თავისუფლების პარტია.

პეტროგრადი, 12 მარტი. სახალხო თავისუფლების (კადეტების) პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, პარტიულ კრებაზე განიხილოს აგრარული საკითხი თანახმად პარტიის პროგრამის პრინციპებისა უნდა მიეცეს მიწა იმათ, ვინც საკუთარ შრომით ამუშავებს მიწას, ამისათვის იძულებით უნდა იქნას გამოსყიდული მიწა მემამულეებისაგან.

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

პეტროგრადი, 11 მარტი. 3 საათზე მინისტრების საბჭოს თავმჯდომარემ გამოუცხადა დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომ იგი გადაყენებულია უმაღლესი მთავარ სარდლის თანამდებობიდან.

ძველი მინისტრების გასამართლება.

პეტროგრადი, 10 მარტი. იუსტიციის მინისტრმა შეიმუშავა ინსტრუქცია საგანგებო გამომძიებელთა კომისიისთვის, რომელმაც უნდა გამოიძიოს გადაყენებული მინისტრების და მთავარ მოხელეების ბოროტმოქმედება.

თანასწორობა.

მალე შემუშავდება კანონი ეროვნული, წოდებრივ და სარწმუნოებრივ ჩაგვრის მოსასპობად.

დროებითი მთავრობა.

პეტროგრადი, 10 მარტი. დროებითი მთავრობა საგანგებოდ ამზადებს იმის ფორმას, თუ როგორ დასდვას აღთქმა ხალხის წინაშე, რომ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულობას. ფიცში მოხსენებული იქნება, რომ დამფუძნებელი კრება იქნება მოწვეული რაც შეიძლება მოკლე დროში. დროებითს მთავრობას ოფიციალურს აქტებში ექნება სახელად არა მინისტრთა საბჭო, არამედ შერჩევა, სახელი დროებითი მთავრობისა.

სახელმწიფო სათათბიროში.

პეტროგრადი. 11 მარტი. სახელმწიფოს სათათბიროს თათბირზე 11 მარტს თავმჯდომარემ როძიანკომ სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდა დეპუტატებს, რომ პეტროგრადიდან ნუ წახვალთო. აღნიშნა, რომ ფრონტიდან სანუგეშო ცნობები მოდის ჯარში წესიერებაა. დეპუტატებმა ილაპარაკეს პროვინციების სულიერი განწყობილების შესახებ. საერთოდ ყველგან მშვიდობიანობაა.

დროებითი მთავრობის განცხადება.

პეტროგრადი 10 მარტი. ოფიციალურად. დროებითი მთავრობა აცხადებს: ნიკოლოზ მეორისა და მიხეილ ალექსანდრეს ძეს ტახტზე უარის თქმის შემდეგ მთელი უფლება ქვეყნის მართვა გამგეობაზე დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა... დროებითმა მთავრობამ სავსებით უარყო, ძველი მთავრობის მართვა-გამგეობის წესები და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ახალი წესწყობილების შემოღებასა და დამყარებას. დროებითი მთავრობა თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს უფლებრივ სახელმწიფოს პრინციპებით, სადაც ყოველი ადამიანის უფლებანი მტკიცეთაა დაცული და ყოველი ადამიანი, ერთგულად ასრულებს თავისს მოვალეობას. მთავრობას კარგად ესმის, რომ ომიანობის დროს სახელმწიფოს მეურნეობის შერყევა დამღუპველი იქმნება სახელმწიფოსათვის—,ამიტომ იგი აუცილებლად შეასრულებს ხაზინის ყოველივე ვალდებულობას. გადაუხდის ყველას ვალებს, პენსიებს, გასცემს ჯამაგირებს და სხვ...

ამასთანავე ყოველივე მოქალაქე ვალდებულია წესიერად შეიტანოს გარდასახადი, ბაჟები და სხვა.

დროებითი მთავრობა ავალებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, გამოიჩინონ ხელმომჭირნეობა და გაუწიონ სასტიკი კონტროლი ყოველგვარ ხარჯებს.

მუშათა დეპუტატების საბჭოში.

პეტროგრადი 10 მარტი. მუშათა დ სალდათების დეპუტატების საბჭომ მოისმინა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება ტახტიდან გადამდგარი იმპერატორის დატუსაღების შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ კომიტეტმა გაგზავნა ცარსკოე სელოში კომისია ჯარითურთ. საბჭომ მოიწონა კომიტეტის გარდაწყვეტილება.

რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავება.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭო დაეთანხმა კომიტეტს, რომ რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება მოხდეს არა სასახლის მოედანზე, არამედ მარსის ველზე. დაკრძალვა მოხდება 15 მარტს.

აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა საბჭო.

პეტროგრადი. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა რომ დამოკიდებულება იქონიოს აღმასრულებელ კომიტეტთან, სკობოლევის, სტიკლოვის, სუხანოვის, ფილიპოვსკის და ჩხეიძისაგან შემდგარ კომისის საშუალებით.

ქვრივი დედოფალი.

კიევი. 10 მარტი. ქვრივი დედოფალი დაბრუნდა ბანაკიდან და წავიდა პოკროვის მონასტერში.

ნიკოლოზ-ნიკოლოზის ძის გადაყენება

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ შეუძლებლად სცნო, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დარჩეს რუსეთის ჯარის უმაღლეს მთავარ სარდლად, რადგან იგი რომანოვების დინასტიის წევრია. დიდი მთავარი 9 მარტს გადააყენეს და დროებით მთავარ სარდლობა ჩააბარეს გენერალ ალექსეევს.

ჩრდილ. ფრონტის ჯარის დაფიცება.

პეტროგრადი, 10 მარტი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ მ. ვ. როდზიანკომ 10 მარტს ჩრდილოეთ ფრონტის მთავარ-სარდლის გენერალ რუზსკისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: გუშინ და დღეს ყველა აფიცრებმა, სამხედრო მოხელეებმა, შტაბის და ყველა სამხედრო ნაწილების მმართველობის სალდათებმა, რომელნიც შედიან პსკოვის გორნიზონში, მიიღეს ფიცი ერთგულებისა სამსახურისადმი და შეურყეველი მორჩილებისა რუსეთის სახელმწიფოსადმი, რომლის საჭე ხელთ უპყრია დღეის დროებით მთავრობას, სანამ ახალი ფორმა მმართველობისა დამყარდებოდეს ხალხის ნებით დამფუძნებელ კრების მოწვევის შემდგომ. აგრეთვე, გუშინდელ დღიდან დაიწყო დაფიცება ჩემდა რწმუნებულ ჩრდილოეთის ფრონტის ყველა ჯარის-კაცებისა. ღრმად დარწმუნებულნი ბრწყინვალე მომავალში დიადის, თავისუფალის რუსეთისა და სრულიად გამზადებულნი, რომ ჩვენი თავი მსხვერპლად შევსწიროთ უსაზღვროდ საყვარელ სამშობლოს განთავისუფლებას გარეშე მტრებისაგან, რომელნიც შემოჭრილან ჩვენს საზღვრებში, ჩემდამი რწმუნებულ ფრონტის არმიის სახელით მივესალმები აღმასრულებელ კომიტეტს სახელმწ. სათათბიროს წევრებისას და ვთხოვთ მიიღოთ მხურვალე სურვილი თქვენის ნაყოფიერ შრომისა საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ ძვირფასის განახლებულის სამშობლოსათვის.

ინფანტერიის ღენერალი რუსსკი.
პსკოვი. 10 მარტი.

ატამანის დაპატიმრება და რექტორის გადაყენება.

ნოვოჩერკასკი, 9 მარტი. დაპატიმრებულია საოლქო ატამანი დონის მეორე ოლქისა, უკიდურესი მონარქისტი, ღენერალი ჟიდკოვი. აღმასრულებელმა კომიტეტმა გადააყენა პოლიტეხნიკუმის რექტორი იუპატოვი და დროებითი მმართვა პოლიტეხნიკუმისა გადასცა პროფესორ აბრამოვს.

ადმინისტრაციის დაპატიმრება.

პერმი, 10 მარტი. ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააპატიმრა გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და სხვა პირები ადმინისტრაციის მოხელეებიდან.

1905 წლის გმირის შმიდტის პანაშვიდი.

ნიკოლაევი. ნალმოსან „ფეოდარიტა“-ზე მეზღვაურებმა და ოფიცრებმა გადაიხადეს პანაშვიდი რევოლიუციის მსხვერპლთა მოსახსენებლად და უგალობეს „საუკუნო სახსოვარი“ რუსეთის რევოლიუციის ძველ მსხვერპლს ლეიტენანტ შმიდტს.

პეტროგრადი. 10 მარტი. სამხედრო საბჭო რომელიც 1832 წლიდგან 85 წლის განმავლობაში ჯარის საჭიროებას ემსახურებოდა საკანონმდებლო სასურსათო და მდგომარეობის მხრით ჰფიქრობს რომ ამავე ხასიათის მუშაობა სასარგებლო იქნება რუსეთის ახალ წყობილების დროსაც; წესიერების დამყარებასთან ერთად სახელმწიფო წყობილების პირველსავე სხდომაზე სამხედრო საბჭომ სრულ განკარგულებაში გადასცა თავისი თავი დროებით მთავრობას. ამასთანავე საბჭო აღტაცებას გამოსთქვამს რომ დროებით მთავრობამ შესძლო ასე ჩქარა წესიერების დამყარება, რაც მეტად საჭიროა ეხლა გარეშე მტერთან ომის დროს საბჭო ამასთანავე ვალად რაცხს გამოუცხადოს სრული ნდობა, დროებითი მთავრობის მიერ გამოცხადებულ რეფორმებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს რეფორმები ხელს შეუწყობს ჩვენი იარაღის გამარჯვების და ევროპის განთავისუფლების პრუსიის მილიტარიზმის უღლისაგან.

სამხედრო მინისტრი.

პეტროგრადი, 10 მარტი. პეტროგრადიდან გაემგზავრა სამხედრო მინისტრი. მის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დანიშნულია მისი თანაშემწე მანიკოვსკი. მთავარ საარტილერიო სამმართველოს უფროსად მანიკოვსკის მაგივრად დანიშნულია გენერალი ლეხოვიჩი.

პურის მონოპოლია.

პეტროგრადი, 10 მარტი. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა დააწესოს პურის ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია, რომ უზრუნველ ყოფილ იქნეს სურსათის საქმე. პურის ფასი აწეული იქნება. დაარსდება აგრეთვე საგანგებო კომისია, რომელიც მიაწოდებს სოფელს პირველი საჭიროების საგნებს.

გენერალ რიმანის დატუსაღება

პეტროგრადი. 11 მარტი. დღეს დაატუსაღეს გენერალი რიმანი, სემიონოვის პოლკის ყოფილი აფიცერი, რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა 1905 წ. მოსკოვის აჯანყების ჩაქრობაში.

მროზოვსკის დატუსაღება.

დაატუსაღეს და პეტროგრადში ჩაიყვანეს მოსკოვის ოლქის ჯარების ყოფილი უფროსი გენ. მროზოვსკი.

მოკავშირეთა ელჩები.

პეტროგრადი, 11 მარტი. დღეს 5 საათზე ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები მივიდნენ მარიამის სასახლეში, სადაც სხდომა ჰქონდა დროებითს მთავრობას, ელჩები მიესალმენ მთავრობას.

უკრაინელი სტუდენტები.

კიევი, 11 მარტი. უკრაინის სტუდენტთა რადამ გადასწყვიტა მოიწვიოს კიევში აპრილის პირველ რიცხვებში კონფერენცია, რომელსაც უნდა დაესწრონ უკრაინელ ორგანიზაციების წარმომადგენელნი, არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მის გარეშე ადგილებიდანაც. გადაწყვეტილია მოწოდებით მიმართონ ყვნლას ენერგიულად შეუდგნენ მზადებას კონფერენციისთვის, რათა კონფერენციას დაესწრონ საუკეთესო უკრაინელები და შეიმუშაონ საერთო მუშაობის გეგმა.

პროვინციებში.

პეტროგრადი. 12 მარტი. ყოველი მხრიდან ცნობები მოდის მანიფესტაციებზე და დღესასწაულებზე, რომელიც იმართება რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში რუსეთის სახელმწიფოს განახლების გამო. კარკარალხში მხედრობამ და მცხოვრებლებმა ფიცი მისცეს ახალ მთავრობას. რიგაში მუშებმა გაორკეცებული მუშაობა დაიწყეს. კიევში მუშათა და ჯარის-კაცების კრებაზე გადაწყდა ომი გამარჯვებამდის განაგრძონ.

ფრონტელ აფიცრების მიმართვა.

პეტროგრადი, 11 მარტი. მოწინავე პოზიციების ყველა აფიცრები და ჯარისკაცნი მიმართავენ სალდათების და მუშათა დეპუტატების საბჭოს შემდეგის განცხადებით: ჩვენ, ფრონტზე მყოფი აფიცრები და სალდათები აღტაცებით ვეგებებით რუსეთის განთავისუფლებას, მაგრამ ვაი თუ ბნელმა ძალებმა ისევ დაღუპონ რუსეთი! ჩვენ აღვიარებთ ომის გამარჯვებამდის წარმოებას. ჩვენ ვერ მოვითმენთ რუსეთის სირცხვილს. დაე ნურავინ უგდებს ყურს ბოროტგანმზრახველების ხმას: „ძირს ომიო“. თქვენ დაამარცხეთ შინაური მტერი. დავამარცხოთ გარეშე მტერიც! თქვენ დაგვეხმარეთ ამ საქმეში!

ჩხრეკა.

კიევი, 11 მარტი. გაჩხრიკეს რუსის ხალხის კავშირის მოღვაწენი ოპანასენკო, გენერალშა რაზუმიხინისა და და სხვ. იპოვნეს იარაღი და ძველი „პოგრომჩიკული“ ლიტერატურა. ოპანასენკო დაატუსაღეს, დანარჩენები გაანთავისუფლეს.

დაპატიმრება.

ომსკი, 11 მარტი. დაპატიმრებული გენერალ-გუბერნატორი სუხომლინოვი, გუბერნატორი კოლობოვი და ვიცე-გუბერნატორი კნიაზევი და სასამართლოს თავმჯდომარე ედლიჩკო, პოლიცმეისტერი და ორი გენერალი პეტროგრადს გაჰგზავნეს. პალატის პროკურორი განთავისუფლებს.

მოსწავლეთა ადრე დათხოვნა.

პეტროგრადი. 11 მარტი. „დროებით მთავრობის უწყებების“ ოფიციალურს განყოფილებაში გამოქვეყნებულია სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქის უფროსებისადმი მიმართული—9 მარტს 1917 წ. № 1926, რომლის ძალითაც სწავლა-განათლების სამინისტრო იღებს რა მხედველობაში საშუალო და დაბალ სკოლებში მოსწავლეთა სურვილს რომ დაეხმარონ სოფლებში გლეხებს სამეურნეო მუშაობაში, შესაძლებელად სთვლის წრეულს სკოლებში სწავლა ჩვეულებრივზე ადრე შესწყდეს, მაგრამ არა უადრეს 1 მაისისა. დრო უნდა განისაზღვროს 1—20 მაისამდე

ალექსანდრე და იოსების ძე ფორაქაშვილები, თეკლე დავითის ასული დაფქვიაშვილისა და ივლიტა ადამის ასული ფორაქაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა რომ ორმოცი დღის შესრულების გამო 15 მარტს წირვის შემდეგ 12 საათზე გადახდილ ისნება პანაშვიდი წმ. ბარბარეს სასაფლაოზე

ანასტასია იოსების ასული
ფორაქიშვილის

სულის მოსახსენებლად. 316

ქვრივი მარიამ ზაქარიას ასული მონადირიშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დღეს, სამშაბათს 14 მარტს, წმ. პეტრე-პავლეს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი ერთის წლის გარდაცვალების გამო ძვირფასის და დაუვიწყარის ქრმის ქართული სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის მასწავლებლის

იოსებ გიორგის ძის
მონადირიშვილისა.

პანაშვიდი დანიშნულია ნაშუადღევის 12 საათზე. 315

ღმრმად დაწუხრებული ეფემია ბეჟანის ასული, ბროძელი, მარიამი ივანეს ასული ბროძელი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ 11 მარტს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი, მეორის მაზლი, მესამეთ ბიძა,

ვასილი იოსები ძე ბროძელი

გამოსვენება მოხდება 14 მარტს ორბელიანის ქ. № 20. ქაშვეთის წმნდა გიორგის ეკლესიაში. მიცვალებულს წირვის შემდეგ გაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. 312

კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა შვილებით აუწყებს, რომ პარასკევს, 17 მარტს, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის დაუვიწყარი

ანეტას

საავადმყოფო გემზე „პორტუგალზე“ დაღუპულის სულის მოსახსენებლად, მერაბის საფლავზე, სოფ. ქოდალოში. წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი 12 ს. 318

ღრმად დამწუხრებული პლატონი ალექსის ძე ივანე კლიმიაშვილები, ზინადა ვასილის ასული მახნაჩოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 12 მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმისწული, ვარშავის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პირველ კურსის სტუდენტი,

ალექსანდრე ლუკას ძე
დეკანოზიშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 ს., ეფრეტოვის ტუპიკი № 2. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 311

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე გიორგის ასული, თამარი და არჩილი სულხანიშვილები, ქალინკა გაბრიელის ასული თურქაძისა, და ბარბარე გიორგის ასული მამუჩაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფას მეუღლის, მეორენი დაუვიწყარ მამისა, მესამე საყვარელ ძმისა და მეოთხე ძვირფას სიძის

ივანე (ვანო) დავითის ძე
სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 მარტს, საღამოს 7 საათ., ანჩისხატის ტაძარში. გამოსვენება იმავე ეკლესიიდან 15 მარტს, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 310

ღრმად დამწუხრებული ვიქტორ ლუარსაბის ძე და ელისაბედ პეტრეს ასული, ვლადიმერ ვიქტორის ძე და ოლღა ვიქტორის ასული, ვერა სიმონის ასული კლდიაშვილები, თამარ, ლენა და ზურა თოფურია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. პირველთა საყვარელი შვილი, მეორეთ და, მესამის მული. მხოლოდ უკანასკნელთა, ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

ევგენია ვიქტორის ასული
თოფურია.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 314

მოსკოვის სახალხო ბანკი

მოსკოვის სახალხო ბანკის რწმუნებული აცხადებს კოოპერატივებისა და საზოგადო დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ რაც ბანკს ტფილისში შაბიამანი ჰქონდა, სულ გაიყიდა; ამიტომ მეტის დაკვეთა არ შეიძლება და აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ, ფული დასაბევებლად არ გამოგზავნონ. 320

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).
დღეს, 14 მარტს, 1917 წელს.
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი.
დასაწყისი საღამოს 9 ს. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი
ძმ. ეფიმოვების
მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00
დღეს 14 მარტს, გაიმართება
გალა-წარმოდგენა
ცხენებისა და საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

დებიუტი 5 კლიკეტისა, ბელგიელთა დასისა. დებიუტი ჟონგლიორშის ბოლხონსკისა. დიდი კორდე-ბალეტი. მე-12 დღე ფრანგული ჭიდაობისა. ჩამოვიდნენ ახალი მოჭიდავენი. დღეს ჭიდაობს 5 წყვილი. 1. როლანდ გერბეტი და სარვინი, 2- ზაგლობა—სობესკი, 3. ონო-ოქტორიო-ჯაკსონი, 4. სტუნინი—არნოლდი, 5. ყარა-ზამუკოვი—შევალიე-დე-რიგერი. არბიტრი ელიზარო. ჭიდაობა იწყება 10 ნახევარ ს.

ანონსი: მზადდება დიდი ბენეფისი ცირკის დირექტორის ბ. ეფიმოვისა, ამ დღეებში ბენეფისი ჯიოვანისა დ ანდროსი. პირველი დებიუტი ბ. როლანდისა.

სხვა და სხვა სასწავლებლებში. საოსტატო ინსტიტუტში, სემინარიებში და სხვა სკოლებში ეგზამენები აღარ იქნება. განმეორებითი გამოცდები იმავე კლასში დატოვებულთათვის უნდა მოხდეს შემოდგომაზე და მიიღებენ მოწმობებს საპედაგოგიო საბჭოს მიერ მოწაფის სწავლის შესახებ მოკრებილ ცნობების და მიხედვით. ამ სასწავლებლების განსაკუთრებულს მდგომარეობაში ყოფნის გამოისობით შეიძლება მათი მოწაფეთა დათხოვნა მოხდეს 24 მარტს.

საპედაგოგიო ცოდნის სასწავლებლებში, სადაც მოწაფეთა მეცადინობა ჯარში გაწვევამდე თავდება, სწავლის გაგრძელება 1 ივნისამდე იქნება.

სურსათის საქმე.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ სასურსათო და სათესლე მასალებით მცხოვრებთა დაკმაყოფილება მიწად-მოქმედების მინისტრს გადასცა. ამავე ბრძანებით ამავე მინისტრს გადეცა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში არსებული სასურსათო თანხა. ეს ფული გადადებული იყო ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების დასაკმაყოფილებლად.

მილიუკოვის საპასუხო სიტყვა მოკავშირეთა ელჩებისადმი მიმართული.

პეტროგრადი, 12 მარტი. ოფიციალური. მოკავშირე სახელმწიფოს ელჩების სიტყვების საპასუხოდ დროებით მთავრობის გუშინდელს სხდომაზე მილიუკოვმა სთქვა: „დროებით მთავრობის სახელით დიდს მადლობას გიხადებთ, რომ ჩვენ მოკავშირეებმა მთავრობად გვიცნა. დროებით მთავრობა შეუდრეკელად ასრულებს თავის დაპირებებს მოკავშირეების წინაშე. მაგრამ მე უფრო მეტს ვიტყვი: დროებითი მთავრობა მოკავშირეებთან ერთად საერთო მისწრაფებებით გამხნევებული და გამსჭვალული—ომის მიზნებით, ახლა ამ მიზნების ბოლომდე განსახორციელებლად ახალი ძალები მოჰყავს. დიადი იდეები ხალხთა განთავისუფლებისა და ერთა შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად ამ წუთს მკვიდრ საფუძველს პოულობს რუსის დემოკრატიის მისწრაფებებში. ერთი დაბრკოლება გველობებოდა წინ. ერთი იყო ჩვენი მოწინააღმდეგეთა მისწრაფებაში მსოფლიოს ხელში ჩასაგდებად. დაბრკოლება ეს ჩვენი ძველი ლებად წეს-წყობილება იყო, რომელიც სათათბირომ ძირს დაამხო. მთელი სახელმწიფო დარწმუნდა, რომ ის წყობილება, რომელიც ხელს გვიშლიდა ნაციონალურ ორგანიზაციის შესაქმნელად, გამარჯვებას ვერ მიგვახწევინებდა, აბა შეხედეთ ახლა სერჯორჯს, თქვენი სურვილები განხორციელდა: მუშა დაზგასთან—მუშაობს, ქუჩებში წესიერებაა, ჯარში დისციპლინა მყარდება. ძველი მთავრობის ნაცვლად თქვენს წინ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ძალა მოკრებილი ხალხი დგას, რომ რაც შეიძლება მალე მიახწიოს საწადელს. დარწმუნებული ვართ ჩვენი გაორკეცებული ძალა გააორკეცებს ჩვენს რწმენას ომის გამარჯვებით დაგვირგვინებისას.

ემიგრანტები.

რომი. 11 მარტი. შესდგა კომიტეტი, რომელიც დახმარებას გაუწევს რუს ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას.

საკუთარი დეპეშები

ქუთაისი. საბოლოოდ შესდგა ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი. მთელმა გარნიზონმა ახალი მთავრობა აღიარა და ხალხთან და კომიტეტთან კავშირი დაიჭირა თავის დელეგატების საშუალებით. არის მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭო. ქალაქსა და გუბერნიაში სრული მშვიდობიანობაა. აღმასრულებელმა კომიტეტმა პოლიცმეისტერი გადააყენა და ჟანდარმერია დაითხოვა. პოლიციის მაგივრად შესდგა სახალხო მილიცია, რომელიც ქალაქის თვითმართველობას ექვემდებარება. კომიტეტი ელის დროებით მთავრობისაგან განკარგულებებს.

რუდოლფი და მასწავლებელნი

ხონი. ხონის რაიონის საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მასწავლებლების მრავალრიცხოვანი კრება სალამს უძღვნის ახალ მთავრობას და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი თავის თანაშემწე საოლქო ინსპექტორებითა და კანცელარიის გამგეთი.

ფასანაური. ჩვენ ქართველი მთიელები დუშეთის მაზრისა ფასანაურის გარნიზონი აღტაცებულნი ვართ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებით და სამშობლოსათვის დამღუპველ ძველი მთავრობის დამხობით. ყველა ამხანაგს წრფელ სალამს უძღვნით და მზადა ვართ ახალი მთავრობა ყოველ საშუალებით დავიცვათ. ფასანაურის სარაიონო კომიტეტი.

გაისინი. ვულოცავ სამშობლოს, თავისუფლების ვარსკვლავის გაელვებას. დაე იგი ამოარწყინდეს მრავალ ტანჯულ საქართველოს ჰორიზონტზედაც.

მოქალაქე **ფილინია.**

ქუთაისი. კონსტანტინე ყარამანის ძე დათეშიძემ შესწირა მუშათა საბჭოს დეპუტატებს ორგანიზაციის საჭიროებისთვის ათი ათასი მანეთი.

თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი.**

ასტრახანი. ქართველი ინტელიგენციის და მუშათა მრავალ რიცხოვანმა კრებამ, რომელიც შეკავშირებულნი არიან საკულტურო საზოგადოებად—იქონია მჯელობა ახლანდელ მდგომარეობის შესახებ და აირჩია მუშათა საბჭოსათვის დეპუტატები. კრება მხურვალე სალამს უძღვნის განთავისუფლებულ მშობელ ერს და იმედი აქვს. რომ ქართველი ერი, რომელიც ყოველთვის ავანგარდი იყო განმანთავისუფლებელ მოძრაობისა რუსეთის ყველა ერებთან ერთად იბრძოლებს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლად.

მინდობილობით **პარმ. საბაშვილი.**

სარაყამიში. ჯარმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა ახალ მთავრობას შეჰფიცეს. ენტუზიაზმი დიდია. შესდგება მუშათა ორგანიზაციები.

ციბაძე და ტურაბელიძე.

გრ. რასპუტინი, დედოფალი, მისი ქალიშვილები და პეტროგრადის მაღალი წრის ქალები.

რევოლიუციის ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დროებითმა მთავრობამ იუსტიციის მინისტრს კერენსკის დაავალა დააჩქაროს სუხომლინოვის ღალატის გამოძიება და გარჩევა.

ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძის წერილი.

„რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილია დიდი მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის წერილი, რომელიც მას გაუგზავნია მეფისათვის 1 თებერვალს. სხვათა შორის იგი სწერს: „შენ არა ერთხელ გითქვამს, რომ ომი გამარჯვებამდე უნდა ვაწარმოოთ. მაგრამ დარწმუნებული კი ხარ, რომ ახლანდელ პირობებში ეს შესაძლებელია? იცი თუ არა რა მდგომარეობაშია რუსეთი, თურქესტანი ან ციმბირი? გეუბნებიან კი სიმართლეს?“ შემდეგ დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე აცნობს მეფეს მდგომარეობას. მეფეს ბევრჯელ უთქვამს მისთვის, მატყუებენ, ატყუებენ აგრეთვე ჩემს მეუღლესაო. დიდი მთავარი ურჩევს, ყურს ნუ უგდებ შენს საყვარელ მეუღლეს, იგიც გატყუებსო. „პირველად რომ გადაწყვეტ ხოლმე, ყოველთვის კარგად გამოდის, როგორც კი სხვისი გავლენა დაგეტყობა, მაშინვე ყოყმანს იწყებ ხოლმე“ ეუბნება მეფეს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე. შენ რომ ბნელ ძალთა გავლენა მოიშორო, დაიწყება რუსეთის აღორძინება და დიდ ნდობას დაიმსახურებ ხალხშიო. შორს აღარაა დრო, როცა შენვე შეგიძლიან მიანიჭო ხალხს პასუხისმგებელი სამინისტრო. შენ ახალ ხანის წინაშე დგეხარ და შეიძლება მოკვლაც მოგინდომონო“, დასძენს დიდი მთავარი.

ა. კერენსკის აზრი პოლონელთა დემოკრატიულ კლუბზე.

გუშინ საღამოს გაზეთ „ეხო პოლსკი“-ს რედაქციის დარბაზში პოლონელ დემოკრატიულ კლუბის საორგანიზაციო კრება იყო.

კრების თავმჯდომარემ, ნაფიც ვექილმა ა. ლედნიცკიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც ახალი პოლონურ საზოგადოებრივ ორგანიზაციის მიზანი და ხასიათი გააცნო დამსწრეთ.

მალე კრებაზე ა. კერენსკიც მოვიდა. მისალმების შემდეგ მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამბობდა: „მე სრულიადაც არ მიკვირს რომ პოლონელები აქამდის სკეპტიკურად ექცეოდნენ რუსებს, მაგრამ დღეს რუსეთის დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ მისთვის გადაულახავი ზღუდე არ არსებობს.

მე ყოველთვის დამოუკიდებელ პოლონეთის მომხრე ვიყავი სთქვა კერენსკიმ. აწიც ყოველ ზომას ვიხმარ რომ პოლონელთა საკითხი ისეთ კალაპოტში ჩავაყენო, რომელიც მას თავისუფლებამდის მიიყვანს. მე მჯერა დაასრულა კერენსკიმ თავისი სიტყვა, როს დღეიდან რუსეთი და პოლონეთი ისე იცხოვრებენ ერთად, როგორც ორი ერთი მეორისგან დამოუკიდებელი თავისუფალი ხალხი.

კერენსკის სიტყვას აპლოდისმენტები მოჰყვა.

დამფუძნებელი კრება.

ჟურნალისტების შეკითხვაზე სათათბიროს შესახებ, ა. კერენსკიმ უპასუხა: სახელმწიფო სათათბირო განაგრძობს მუშაობას. სათათბიროს წევრების კერძო თათბირზე გადასწყდა—ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ დროებით მთავრობას, დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, სათათბიროს წევრები მუშაობას უკვე შეუდგნენ. ზოგი მათგანი კომისრებად დაინიშნა. ზოგს სხვა და სხვა სახელმწიფო საპასუხისმგებლო თანამდებობა აქვს დაკისრებული.

„როდის მოიწვევენ დამფუძნებელ კრებას? ომამდის, თუ ომის შემდეგო. კერენსკიმ უპასუხა: დამფუძნებელი კრების მოწვევა რაც შეიძლება მალე უნდა მოეწყოსო.

სასურველია რომ ფრონტიც მიიღებდეს დამფუძნებელ კრების მოწვევის საქმეში მონაწილეობას, ვინაიდან რუსეთის საუკეთესო შვილნი ბრძოლის პირზე იმყოფებიანო.

ომის დღიური

აღმოსავლეთის ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილიდან, სახელდობრ პეტროგრადის მიმართულებით ჯერ-ჯერობით გარკვეული ცნობები მართალია არ მოსულა,მაგრამ, ერთობ ემჩნევა, რომ პეტროგრადისათვის საფთხე თუ სულ არა შედარებით მაინც შესუსტდა და მდგომარეობის სიმწვავემ იკლო. აღსანიშნავია გუშინდელ დეპეშის ცნობა რუმინიის ფრონტიდან: მოპირდაპირეს მდ. ჩობანიეშის და სულჩას შუა შეტევა დაუწყია და რუსის ჯარი იძულებული გამხდარა· პოზიცია დაეტოვებინა და მონიესკის ერთი ვერსით აღმოსავლეთით დაეხვია შეიძლება გერმანელების მხრით მხოლოდ მედგარი დემონსტრატიული აქტია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მას თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ მიმართულებით გერმანელები ჩრდილოეთით შემოუვლიან ოკნას რაიონს და თუ ბაჩევს მიაღწიეს ამით მთელს სერეტის ხაზს შეარყევენ და საგრძნობლად შესცვლიან რუმინიის ასპარეზით საერთო სტრატეგიულ მდგომარეობას.

ფრანგები და ინგლისელები განაგრძობენ მედგარ შეტევას და ამ ჟამად ინგლისელებმა არას-ბერენ-კრუაბილ-დაკამბრე-როკურ-ვერმან-ეტრეიეს ხაზს მიაღწიეს, ასე რომ არას-ალბერის რაიონით დასავლეთისაკენ შემოჭრილი გერმანელების ბრძოლის ხაზი საბოლოოდ შესწორდა და საგრძნობლად შემოკლდა. უფრო ინტენსიურად სწარმოებს მოქმედება მესოპოტამიაში, სადაც რუსები და ინგლისელები თან და თან უახლოვდებიან ხანიკინს. ხანიკინთან იყრის თავს ოსმალთა ჯარის ორი ჯგუფი: ერთი სპარსეთიდან და მეორე ბაღდადის რაიონებიდან წამოსულნი. მაშასადამე მოსალოდნელია, რომ სადმე ხანიკინის რაიონის მახლობლად დიდი შეტაკება მოხდება, რომელიც საბოლოო მიმართულებას მისცემს მთელს მესოპოტამიის ოპერაციას.

ი. გე—ძა—ლი.

ომის დეპეშები

მთავარშტაბის ცნობები.

პეტროგრადი, 11 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

რუმინიის ბრძოლის პირი. მოპირდაპირემ იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციებზე მდ. სულჩასა და ჩაბანიეშის შუა, აოინესჩის 20 ვერსის დასავლეთით და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია მოინესჩის ერთი ვერსით აღმოსავლეთით.

კავკასიის ბრძოლის პირი. 6 მარტი ხანიკინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპყრა გადამწვარი ოსმალების მიერ კერინიდი; ოსმალებმა დაიხიეს ახალ პოზიციაზე დევნას განვაგრძობთ. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა.

პეტროგრადი, 12 მარტი. დასავლეთის ასპარეზი. მოდეიკის ფრონტზე, დაბა პოსტავის ჩრდილოეთ-დასავლეთით გერმანელებმა სულთამხუთავი გაზები გამოუშვეს, მაგრამ ვერაფერი გვავნეს. დანარჩენ ფრონტზე მზვერავთა შეტაკება და სროლაა.

რუმინიის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებანია.

კავკასიის ასპარეზი. ხანიკენის მიმართულებით რუსის ჯარმა 5 მარტს ოსმალები დაამარცხეს სოფ. ხარირს და სარმილთან. კერინდის ულტეტეხილთან, 6 მარტს ჩვენ ბრძოლა გვქონდა ოსმალებთან, რომელთაც პოზიცია დაიჭირეს მიანდაგთან. დანარჩენ ფრონტზე—სროლაა და მზვერავთა. მოქმედება.

პარიზი. 11 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. სომის ჩრდილოეთით სავის მიდამოს საზღვრებიდან მტერი განვდევნეთ. იგი წინასწარ გამზადებულ სანგრებში გამაგრდა. სომმასა და უაზს შუა ჩვენმა ჯარებმა წინ გაიგდეს მტრის რაზმები და სასტიკი ბრძოლის შემდეგ მთელ კილომეტრის მანძილზე უკან დაახევისას უაზის სამხრეთით, მიუხედავად მტრისაგან საგანგებოდ გადმოშვებულ ნიაღვარისა, ჩვენ წინ გავიწიეთ აღმოსავლეთ ნაპირისაკენ. რამოდენიმე სოფელი აიღეს და გერმანელი ავანგარდებს უსის ტყისკენ დაახევიეს.

მფრინავთა მუშაობა.

10 მარტს პოდპრაპორშჩიკ ორტილიმა მეხუთე, გერმანული აეროპლანი ჩამოაგდო. ერთმა ჩვენმა მფრინავმა მარნჟას საავიაციო ბანაკში ბომბები ჩამოისროლა და ცეცხლი გააჩინა.

ახალი ამბავი

კვირას, 19 მარტს, ფიქრის გორაზე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია ჰმართავს დიდ ეროვნულ მიტინგს.

◆ **მასწავლებელთა შორის.** 11 მარტს რეალურ სასწავლებლის შენობაში ყველა ტიპის სასწავლებლის მასწავლებელთა კრება გაიმართა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ივ. პალმოვი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგებად —ვ. ბურჯანაძე, ავეტისიანი, აკუნოვი და ივანოვი. კრებას 2,000-ზე მეტი მასწავლებელი დაესწრო. კრებამ დაადგინა: 1) დაარსდეს ტფილისში მასწავლებელთა კავშირი და 2) გადაყენებულ იქმნას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი და ეს დადგენილება ეცნობოს სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს და კომისარებს. დანარჩენ საკითხების განხილვა შემდეგ კრებისთვის გადაიდო, რომელიც ამ დღეებში იქნება მოწვეული.

◆ **საყოველთაო პარაკლისი მცხეთაში.** 12 მარტს მცხეთაში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მწირველი იყო ოთხი მღვდელმთავარი: ლეონიდი, გიორგი, ანტონი და პიროსი არქიმანდრიტებისა დ ქართველ სამღვდელოების თანამსახურებით. წირვის შემდეგ, პარაკლისის დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ლეონიდმა, რომელიც შეეხო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. პარაკლისის შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა აქტი, რომლითაც დაარსდა საგანგებო კომისია ეპისკოპოზ ლეონიდის თავმჯდომარეობა და მიენდო მას საქართველოს ეკლესიის საქმეთა მართვა-გამგებლობა. აქტს ყველა დამსწრემ მოაწერა ხელი. მისალოცი დეპეშები გაეგზავნა ახალ მთავრობის წარმომადგენლებს. დასასრულ მცხეთის ტაძრის გალავანში მიტინგი გაიმართა და რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა.

◆ **ტფილისის სასამართლო.** ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნ ალ. ტოლპიგომ რუსეთის განახლება და დროებით მთავრობის არჩევა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს დეპეშით მიულოცა. სასამართლოსა და ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა და მათი თანამოსამსახურეთა სახელით. რადგანაც ასეთი დეპეშის გაგზავნა ბ-ნ ტოლპიგოსათვის არავის დაუვალებია ცალკე საზოგადო კრება გამართეს ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა, მათ თანაშემწეთა, მომრიგებელ ბოქაულებისა და ყველა მათ თანამოსამსახურეთა თანადასწრებით. კარგა ხნის თათბირის შემდეგ კრებამ იუსტიციის მინისტრს ბ-ნს კერენსკისა და ბ-ნ როძიანკოს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ჩვენ ტფილისის და ტფილისის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლენი, მათი თანაშემწენი, სასამართლოს ბოქაულები და ყველა კანცელარიების მოხელენი შეერთებულნი და გახარებულნი ხალხის მოსისხლე მტრის— მთავრობის დამხობით გაცნობებთ ჩვენს შეურყეველს გადაწყვეტილებას აღვასრულოთ ჩვენი ვალი სამშობლოს საკეთილდღეოდ და მის მოსაწყობად; გვრწამს რომ ძველის დესპოტიური მთავრობის მიერ დატანჯულ ქვეყნას დაუდგა ალიონი ახალის ცხოვრებისა.

◆ **ქართველთა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის** დამფუძნებელი კრება 10 მარტს გაიმართა. კრებამ დაადგინა: 1) თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში, 2) მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს ახალ მთავრობას, 3) სთხოვოს იუსტიციის მინისტრს ა. კერენსკის ჩქარა განიხილოს საკითხი აჭარლების შესახებ, რომელნიც მოღალატენი კი არ არიან, არამედ მსხვერპლნი ძველის რეჟიმისა და 4) მიესალმოს ფინლიანდიას კონსტიტუციის აღდგენის გამო. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტში თავის წარმომადგენლად პარტიამ აირჩია ნაფიცი ვექილი ივ. ივ. ზურაბიშვილი.

◆ **დიდი მანიფესტაცია.** კვირას, 12 მარტს ტფილისში კვლავ გაიმართა დიდი მანიფესტაცია ჯარებისა და ხალხისა.

◆ **ტფ. გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს** აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინ წინადადება მისცა, გადადგნენ თანამდებობიდან და ყველა საქმე ჩააბარონ კომიტეტის კომისრებს: ნ. ნ. ჟორდანიას, ა. ი. ხატისოვს და დ. პოპოვს.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტის** სახელით ზოგიერთი ვაჟბატონი ტფილისში დაძვრება და განკარგულებებს ახდენს. კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, ყველა ასეთი პირი შეიპყრან, თუ კომიტეტის მოწმობა არ აღმოაჩნდება.

◆ **მეფის მოადგილის სასახლეში** ჰოსპიტალი მოათავსეს.

◆ **სევერსკი პოლკის** შესახებ ხმა გავრცელდა, ახალ მთავრობას არ ემხრობაო. ხმები ტყუილი გამოდგა. ეს პოლკი მთლად მიმხრობია ახალ მთავრობას და ფიციც მიუღია.

◆ **კავკასიის კომისარები.** ტფ. აღმასრულებელ კომიტეტს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დი ლვოვი პეტროგრადიდან შემდეგს ატყობინებს:

„შესდგა ამერ-კავკასიის კომიტეტი ხარლამოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრნი მოულოდნელ მიზეზთა გამო პეტროგრადში შეგვიანდნენ. მიდიან 11 მარტს. თ-დ აბაშიძის ნაცვლად კომიტეტის შემადგენლობაში შედის ახლად განკურნებული წევრი სათათბიროსი ჩხენკელი. ახალ მთავრობის დავალებით კომიტეტის წევრნი ერთის დღით ბაქოში შეივლიან“.

◆ **ნაძალადეველთა საყურადღებოდ,** რადგან 12 მარტს დანიშნული საზოგადო კრება არ შესდგა. მოუწოდებთ ყველა ნაძალადევის მცხოვრებთ აუცილებლად დაესწროს სამშაბათს 14 მარტს ნაძალადევის თეატრში საათის 5-ზე დანიშნულ კრებას.

◆ **12 მარტს ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში შეიკრიბა სამასამდე დელეგატი** ტფილისის სახელმწიფო ყველა დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურეთა. კრებამ დაადგინა გაეგზავნოს დროებით მთავრობას მილოცვითი დეპეშა იმ აღთქმით, რომ მოხელენი ყოველსავე ღონეს იხმარენ ახალ მთავრობის დასახმარებლად და გასამაგრებლად რუსეთის საკეთილდღეოდ. კრებამ სხვათა შორის დაადგინა უარ ჰყოს ორდენები და გაგზავნონ ხაზინაში ოქროსა და ვერცხლის ფულის მასალად.

◆ **ქუნთრუშინთა** დროებით საავადმყოფოს შესანახად ორის თვის განმავლობაში ქალაქის საბჭომ 12,000 მან. გადასდო.

◆ **დეპეშა მიწ.-მოქმედების მინისტრ შინგარიოვს.** ტფილისის მიწის საქმის მომწესრიგებელთა მოსამსახურენი მიესალმებიან თქვენი სახით ახალს მთავრობას და მზათ არიან თვისი გამოცდილება, ცოდნა და ძალა მოახმარონ ახალ მთავრობის სამსახურს.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი

◆ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობა გაჩქარებულის ტემპით სწარმოებს. ორგანიზაციის შედგენა დასრულდა და კომიტეტშა შევიდნენ მუშათა საბჭოს და სამხედრო ორგანიზაციის 8 დელეგატი (სამი მუშებიდან, 5 სამხედრო პირებიდან). კომიტეტმა ჯერჯერობით გამოსცა რამდენიმე მოწოდება, გასცა ბრძანება დააპატიმრონ ჟანდარმერია, ჩაიბარა მისი არქივი და სასტიკი ზომებია მიღებული არქივის იმ ნაწილის აღმოსაჩენად, რომელიც გადაუმალავთ ჟანდარმებს კათოლიკეების ქუჩაზე. აკრძალა ყველგან ქალაქში ღვინის გაყიდვა ყოველგვარ დაწესებულებაში დროებით. მოკლე დროში შეუდგება ქალაქის მილიციის ორგანიზაციას. პროვინციებში გაიგზავნება ცირკულიარები და სხ.

ჩოხატაური

◆ თავისუფლების მოტრფიალე კოხტა კეკლუცი კუთხე—გურია ზეიმობს ეხლანდელ მოულოდნელ ისტორიულ ამბების გამო. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ აქვს. ყველგან შესამჩნევი წესიერება დაცული და არავითარ ძალდატანებას და სხვა რამ ამგვარს ადგილი არა აქვს. ყოველ დღე მოუთმენლად ველოდებით გაზეთების მიღებას. ელვის სისწრაფით ვრცელდება მთელ მხარეში გაზეთებით—ეს ნობათი თავისუფლებისა. ერთი სიტყვით, შეუძლებელია კალმით აიწეროს ის მდგომარეობა, რასაც ამჟამად აქ განვიცდით. ყალბი გამოდგა ის აზრი ვითომ ხალხს უპოლიციოდ არსებობა არ შეეძლოს. აი ეხლა, როდესაც ადგილობრივი ადმინისტრაცია უმოქმედოთ არის, არავითარ უწესობას ადგილი არ აქვს. სამშაბათს, 7 მარტს მოხდა ოცისთავების კრება. კრებას დიდი ხალხი დაესწრო. არჩეულ იქმნა თავდაცვის კომიტეტი შემდგარი 11 კაცისაგან. ბოქაულმა მათ მორჩილება გამოუცხადა. კომიტეტი დეპეშით მიესალმა სათ. თავმჯდომარეს როძიანკოს და პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს.

მონარქია თუ რესპუბლიკა.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გაზეთი სწერს რუსეთის დინასტიის აღდგენის წინააღმდეგ:

რომელი ნაწილი იქნება ჩვენი საზოგადოებისა, რომ იარაღს მოჰკიდოს ხელი როცა გაიგებს, რომ რომანოვების დინასტია უბირ მეშჩანურ ოჯახად გადაიქცევა. სრულიად ამაოდ დაუწყებდით ჩვენ ასეთ საზოგადოებრივ კლასის ძებნას რუსეთში, ბურჟუაზიის წრეებში ჩვენ ასეთებს ვერ ვიპოვნით. მხოლოდ რეაქციონურ ბატონყმური ჩვენი თავად-აზნაურობის ნაწილში თუ იპოვით ცარიზმის მომხრეებს:

ეგრედ წოდებული „შავ რაზმელები:“ „უკანასკნელნი უიმისოდაც ებრძვიან რუსის ხალხს. ისინი ახლა სახლების სხვენზე მიმალულან და ჯარისკაცების ფარაჯებში გადაცმულნი თოფებს უშენდნენ ჩვენ რევოლიუციონურ პატრულებს. ამზადებენ „საპოგრომო“ პროკლამაციებს. სცდილობენ განხეთქილება შეიტანონ ჩვენ რევოლიუციონურ ჯარში.

მაგრამ ჩვენი თებერვლის რევოლიუციის მიზანსაც ხომ ამ მოქალაქეობრივ ომის ბოლომდის მიყვანა და შავ რაზმელების განადგურება შეადგენს.

ბატონმა მილიუკოვმა ძლიერ დამახასიათებელი და მოზხამული სიტყვები იხმარა, რომანოვების დინასტიის უკანასკნელ დესპოტის შესაჩვენებლად. ჩვენ ამ დახასიათების წინააღმდეგ ვერას ვიტყვით, არც ის გვინდა რომ პირადული პასუხის მგებლობა წავართვათ მოქალაქე ნიკოლოზ რომანოვს, იმ უთვალავ დანაშაულობათათვის, რომელიც მას თავის მეფობის დროს ჩაუდენია.

ვიმეორებთ: რევოლიუციის მიზანი ნიკოლოზ რომანოვის პირადული ცოდოთათვის დასჯა არაა. რომელი წარმომადგენელიც უნდა გამეფდეს რომანოვთა დინასტიისაგან, სულ ერთია, იგი ხელს შეუწყობს სასახლის შავ რაზმელთა „სფერების“ გაძლიერებას, და იმ „შავბნელ ძალების“ გაბატონებას, რომელიც ეგზომ მჭევრმეტყველურად დაახასიათა ორიოდე თვის წინად ახლანდელმა გარეშე საქმეთა მინისტრმა..,

არა მარტო რომანოვების დინასტიის ძირს ჩამოგდება, არამედ რომანოვთა უფლებით აღჭურვა გვიმზადებს ჩვენ რევოლიუციას.

დამფუძნებელი კრებაა ეოთად ერთი უფლება მოსილი ინსტიტუტი, რომელსაც ძალუძს რუსეთის მართვა გამგეობის ფორმის ჩამოყალიბება. ასე ფიქრობენ არა მარტო მუშები და რევოლიუციონური ჯარის კაცები, არამედ ოფიცრებმაც კი ასეთი აზრი გამოთქვეს თავიანთ ყრილობებზე გამოტანილ რეზოლიუციებში.

რეგენტობის დაწესებას რუსეთის დემოკრატია, უდიდეს საფრთხეთ ჩასთვლიდა, რევოლუციის წინააღმდეგ ეს იქნებოდა ერთგვარი კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი.

რას ამბობს დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე ნიკოლოზ მეორეზე.

1 მარტს დაბრუნდა მეფის ბრძანებით გადასახლებული დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე ავტორი ცნობილი შრომის „ალექსანდრე პირველისა“. დიდმა მთავარმა მეფის რისხვა დაიმსახურა, რადგან რასპუტინის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგი იყო. ნიკოლოზ მეორის ბრძანებით, ახალ წლის ღამეს იგი გააძევეს პეტროგრადიდან, ხერსონის გუბერნიაში, ორი თვით.

დიდმა მთავარმა ხარკოვში გაიგო რევოლიუციის ამბები. გაზეთ „იუჟნი კრაი“-ში დროებითი კომიტეტის მოკლე ცნობები იყო მოთავსებული.

დაწვრილებით მხოლოდ ვიშერში შეიტყო; ვაგონში ჟანდარმი შევიდა და უამბო „პეტროგრადში „ჩვენები“ აღარ არიანო, თან ურჩევდა გზიდან დაბრუნებულიყო.

დიდმა მთავარმა არ შეისმინა ჟანდარმის რჩევა. ჩავიდა პეტროგრადს.

სადგურზე მისთვის გამოგზავნილ განსაკუთრებულ ეტლშიც არ ჩაჯდა, ფეხით წავიდა სადგურიდან.

საოცარის პატივისცემით ლაპარაკობდა რევოლიუციის ამბებზე.

— პროტოპოპოვი და მისი პოლიცია რო არ ყოფილიყო, ამბობდა დიდი მთავარი, ეს საშინელი სისხლის ღვრაც არ იქნებოდაო.

როცა დიდ მთავარს შეკითხეს მეფეს არ ურჩევდნენ რამეს მისი მახლობლებიო? დიდმა მთავარმა სთქვა:

განსაკუთრებით ქვრივი დედოფალი ამხელდა მეფეს, ევედრებოდა ყურადღება მიექცია ყველაფერ იმისთვის, რასაც რასპუტინი ჩადიოდა სასახლეში. ფინანსთა მინისტრი ბარკიც იმასვე ეუბნებოდა მეფეს.

1-ს ნოემბერს, სთქვა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, მეც მქონდა საუბარი მეფესთან ამის თაობაზე.

თან მქონდა ჩემი წერილი მეფისადმი, რომელიც წაუკითხე კიდეც.

ხსენებულ წერილის წაკითხვის დროს მეფემ შეურაცხყოფა იგრძნო.

მეფემ წერილი ალექსანდრე თეოდორეს ასულსაც წაუკითხა.

მე გავიგე შემდეგ, როცა მეფე იმ ადგილამდის მივიდა, სადაც დედოფალი იყო ნახსენები, დედოფალმა ხელიდან გამოსტაცა ბარათი და ნაკუწ ნაკუწად აქცია. სხვათა შორის როცა პროტოპოპოვზე ლაპარაკი ჩამოვარდა, მე უთხარი:

— იცი რომ პროტოპოპოვი თავზე მოგახვევს? იგი ბადმაევთან გაცვნეს რასპუტინს.

— ვიცი მიპასუხა მეფემ.

— მერე ეს ნორმალურია? გავიკვირე მე. მეფე გაჩუმდა. მიუხედავად მკაცრი ლაპარაკისა, მეფე თავაზიანად ეპყრობოდა ნიკოლოზ მიხეილის ძეს.

— მეფეს აჩირებული წაყრუება იცის. ამიტომ ადამიანს მასთან საუბრის ხალისი ეკარგება.

გაკვრით უთხარი, ალექსანდრე I-ს მომაგონებ მეთქი. საუბრის დროს, როცა მე მოურიდებლად ველაპარაკებოდი, რამოდენჯერმე პაპიროსი ჩამიქრა, მეფემ წუმწუმა შემომთავაზა.

და ბოლოს უთხარი აქ შენ ყაზახები გყავს და ბაღში ადგილიც ბევრია. შეგიძლია მომკლა და ჩამახრჩო სადმე. არავინ გაიგებს, იაგრამ მე ყველაფერი უნდა გითხრა. მეფემ ახლაც არ ამოიღო ხმა, ხოლო დეკემბრის 21 ღამის თორმეტის ნახევარს მოვიდა შიკრიკი და გადმომცა მისი წერილი: „გიბრძანებ 2 თვით გაემგზავრო გრუშევკაში“.

ბოლოს კი შემდეგი წარწერა იყო: „გთხოვ ეს შეასრულო“.

ვოდით და გაიგეთ,—ერთდა იმავე დროს თხოვნაც და ბრძანებაც იყო.

ორი დღის შემდეგ მეფესთან მივიდა პურიშქევიჩი. ელაპარაკა რასპუტინისა და პროტოპოპოვის შესახებ. პურიშკევიჩის შემდეგ მეფესთან თათბირი ჰქონდა პროტოპრესვიტერს შაველსკის.

ამავე დროს მოხდა დიდ მთავრების მოლაპარაკება ანდრია ვლადიმირის ძესთან. ნიკოლოზ მიხეილის ძე, რომელმაც უკვე გამოსთქვა თავისი აზრი, ამ მოლაპარაკებას არ დასწრებია. იქ არც ყოფილა მისი ძმა, ალექსანდრე მიხაილის ძეც. მაგრამ 11 თებერვალს ესეც მისულა სასახლეში და მეფისათვის ბევრი მწარე სიტყვა უთქვამს.

საერთოდ დიდი მთავრები პირდაპირ აყენებდენ საკითხს, და სთხოვდენ მეფეს დინასტიას ნუ დაღუპავო. ცარსკოე სელოში მივიდა დიდი მთავარის ცოლი ვიქტორია თეოდორეს ასული, როცა მან ლაპარაკი ჩამოუგდო მეფეს რომ დედოფალი ხალხს არ უყვარს, ნიკოლოზმა გააწყვეტინა.

— რა დამოკიდებულება აქვს ალისას პოლიტიკასთან? იგი მოწყალების დაა და სხვა არაფერი. რაც შეეხება იმას რო ხალხს არ უყვარსო ეგ ტყუილია.

და გადმოულაგა მრავალი ჯარისკაცისაგან მიღებული სამადლობელო ბარათი. ხოლო ვისაც ეს ბარათები უნახავს, ამბობენ ყველა ერთ ყაიდაზეა დაწერილიო.

მეფეს აფრთხილებდა ყოფილი მინისტრი იგნატიევიც, საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება არისო, მაგრამ ყველაფერი ეს ამაო იყო.

ნიკოლოზ მიხეილის ძეს ჰკითხეს, ვის ჰქონდა მეფეზე გავლენაო. მან უპასუხა: უმთავრესად დედოფალს, ვირუბოვისას და ვეეიკოვს, მაგრამ იყო კიდევ ერთი პირი, ბოროტი და მავნებელი, რომელსაც ვანკა კაინს ვეძახდით. ეს იყო შჩეგლოვიტოვი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.49	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,23	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 1-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28	დილ.
ხაშურის	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	8 37	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20.	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დ. დ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ხაშურიდან.	სამგზ.	„	6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

პრობკები
მინერალური, ღვინისა და ლუდის ბოთლებისათვის.
მოიკითხეთ: სერგიევის ქუჩა, № 14, ეზოში მარჯვნივ. 321

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-მდე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 38, მეორე სართული. 1059

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის, ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.
ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

ექიმი
[illegible] ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, თმა'მანჯის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო ც საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი კბილისა
ნინო [illegible]
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა [illegible] კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ვერეიევის ქუჩა № 4. სასტუმრო [illegible] გვერდით ტელეფ. 15—00. 1008

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყაზარმენნის ქ. № 6.

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი,
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელის
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიულ. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა-შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბეჟანოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
სახალხო ფურცელი
კვირეული სურათებიანი დამატებით
ღირს:
ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.
ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება ნაწილნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.
1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.
მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.
რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.
საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.

ახალი კლუბი
პარასკევს, 17 მარტს, კლუბის დარბაზში მომღერალი
ვარდენ ლორთქიფანიძე
გამართავს ფრიად საყურადღებო
კონცერტს 2 განყ.
მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი-ქალი ქ-ნი მარიამ შავრეშაშვილი (სოპრანო), პროფ. ტფილის. მუსიკ. სასწავლებლისა ბ-ნი ე. ბ. ბროჯი (ბარიტონი), მომღერალი ბ-ნი ნ. ზ. ხოდზოვი, პიანოზე დამკვრელი [illegible] ხი სენკევიჩი და როიალზე დამკვრელი ქნ. მ. ბ. ანდრონიკაშვილისა.
დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს.
ადგილების ფასი 1—3 მან. ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის შვე[illegible]ცართან.
108

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი [illegible] თის ხიზილალა, სრულებით ცოცხ [illegible] რილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზ. [illegible] მივიღე [illegible] საუკეთესო სალიანის [illegible] მუდმივ გვაქვს ორაგული, [illegible] ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი [illegible] თი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერ[illegible] და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ [illegible] ხვა.
108

უპირველესი, რადიკალური და სწრაფ
მასთან იაფი საშუალება
სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, [illegible] რებისა და კუნთების ქრონ [illegible] რევმატიზმის, ნეკრესის ქარ[illegible]
საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის [illegible] მყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, [illegible] ლას და სხვას საჩქაროდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიულ ქიმი საშუალება პროფესორ როშის
იოდასტარინი
ნუ შეგეცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშ [illegible] პარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევრ[illegible] კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი ½ 16 მან[illegible] 8 მანეთი ყოველი მილი 50 მანეთი ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუ[illegible] ნეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატ[illegible] ქვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16—1—4. სა[illegible] მწიფო ბანკის ახლოს.
Тифлиское Отдѣленіе Парижской Фармацевтической Лабораторіи [illegible] лисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 1—4. противъ Государстве[illegible] банка.

სუსუნატით ([illegible])
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯ[illegible] ნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, [illegible] საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენ[illegible] ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ ცოტა[illegible] არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტ[illegible] ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას [illegible] იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ [illegible] შუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინ[illegible] საშუალება „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამო[illegible] ცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
რეზუროლინი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენათ ახალი ავად[illegible] ფობისა ღირს 21 მანეთი, დაძველებულისა 35 მან. 50 კ. სხვა ქვ[illegible] ნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფა[illegible] ცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლო[illegible] რის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპ[illegible]
За заказами и справками обратиться въ Тифлис[illegible] Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Ти[illegible] лисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на проти[illegible] Государственнаго Банка.

სტამბა „[illegible]“ [illegible] ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის წინ[illegible]